სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა (MADIP)

ა. პროგრამის სახელწოდება:	**დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა** **Diplomacy and International Politics**
ბ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	**დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი** **MA in Diplomacy and International Politics**
გ. პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	120 ECTS კრედიტი;
დ. სწავლების ენა:	ქართული; ინგლისური
ე. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:	კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება დიპლომატიასა და საერთაშორისო პოლიტიკაში

სამაგისტრო პროგრამა ამზადებს სპეციალისტებს, რომლებიც იცნობენ საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად თეორიულ მიდგომებს, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, სოციოლოგიის სფეროში თეორიულ ნააზრევს, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს და დიპლომატიის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლებს.
დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკისა მაგისტრებს შეუძლიათ კვლევის ჩატარება და ანალიტიკური სამუშაოს შესრულება საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. მათი სპეციალიზაციის სფეროები მოიცავს გლობალიზაციას, საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიას, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციას, ევროკავშირის პოლიტიკას, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემებს, დიპლომატიის ისტორიას და თეორიას, დიპლომატიურ და საკონსულო სამართალს, დიპლომატიურ პრაქტიკას და პროტოკოლს; შეუძლიათ პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო სფეროებში კვლევითი მუშაობის გაგრძელება, ასევეე, სახელმწიფო და დიპლომატიურ სამსახურში, საზოგადოებრივ სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში პროფესიული სამუშაოს შესრულება.

ვ. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი;2
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა (გამოცდა ან შესაბამისი სერტიფიკატი);
- გამოცდა საერთაშორისო ურთიერთობებში.

პროგრამაზე შესაძლებელია 20 სტუდენტის მიღება

ზ. სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული მიმართულებები;
- დიპლომატიის ისტორიის მთავარი საკითხები;
- თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო პრობლემები;
- დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის თავისებურებები;
- საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნები და განხორციელების საშუალებები;
- დიპლომატიური პრაქტიკის საფუძვლები

კურსდამთავრებული შეძლებს

- საერთაშორისო პოლიტიკის რთულ სიტუაციებში გარკვევასა და სწორად ორიენტირებას;
- საერთაშორისო მოვლენების ღრმა ანალიზს და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებას;
- საგარეო პოლიტიკაში კომპეტენტური რჩევების მიცემას და კონსულტირებას;
- დიპლომატიურ მოლაპარაკებაში და პოლემიკაში მონაწილეობის მიღებას;
- საკუთარი მოსაზრებების ნათლად და მკაფიოდ გამოხატვას ქართულად და ინგლისურად (აგრეთვე კიდევ სულ მცირე ერთ უცხო ენაზე).

დასკვნის უნარი:

- კურსდამთავრებული შეძლებს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებას, კვალიფიციურ ოპონირებასა და დასაბუთებული დასკვნების გამოტანას.

კომუნიკაციის უნარი:

- კურსდამთავრებული შეძლებს ვერბალურ და წერით კომუნიკაციას შესაბამის სფეროში; დაიცვას საკუთარი პოზიცია დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე, საჯარო დისკუსიებზე და წერილობით პოლემიკაში ეთიკისა და კამათის კულტურის სრული დაცვით.

სწავლის უნარი:

- კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება დამოუკიდებელი სწავლისა და ათვისებული ცოდნის სხვისთვის გადაცემის უნარი.

ღირებულებები:

- კურსდამთავრებული გააცნობიერებს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებათა ურთიერთმიმართებას, ხელს შეუწყობს მათ დამკვიდრებასა და გავრცელებას შემდგომი საქმიანობის პროცესში.

თ. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- სასწავლო მასალაზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდი
- პრაქტიკა საგარეო საქმეთა სამინისტროში
- წერითი მუშაობის მეთოდი: მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ესსეს შესრულება, და ა.შ.
- დისკუსია, თემების ჯგუფური ანალიზის მეთოდი.

ი. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასების გრადაცია შემდეგნაირია:

100–91	ფრიადი, A
90– 81	ძალიან კარგი, B
80 –71	კარგი, C
70 –61	დამაკმაყოფილებელი, D
60 –51	საკმარისი, E
50- 41	ვერ ჩააბარა, FX
40- 0	ჩაიჭრა, F

ცვლილებები შესულია: დადგენილება №30/2013, 18 თებერვალი, 2013 „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

კ. სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით (იხ დანართი #1).

ფორმა 1

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	საკონტაქტო/ დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	ლექტორი/ ლექტორები	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
						სემესტრები			
						I	II	III	IV

	სავალდებულო საგნები				**45**				
1.	საგარეო პოლიტიკის ანალიზი	სავალდებულო	30/95	გ. ხელაშვილი	5	+			
2.	საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები	სავალდებულო	45/80	ე. აკობია	5	+			
3.	საერთაშორისო მოლაპარაკებები	სავალდებულო	30/95	ს. კაპანაძე	5	+			
4.	ქვეყნების და რეგიონების სემინარი	სავალდებულო	45/80	ე. აკობია	5	+			
5.	კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში	სავალდებულო	30/95	თ. ხუნწარია	5	+			
6.	საჯარო საერთაშორისო სამართალი	სავალდებულო	30/95	დ. კაპანაძე	5		+		
7.	დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა	სავალდებულო	30/95	დ.დონდუა	5		+		
8.	გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები	სავალდებულო	30/95	ზ.დავითაშვილი	5			+	
9.	კვლევის დიზაინი	სავალდებულო	30/95	ს. კაპანაძე	5				+
10.	**სამაგისტრო ნაშრომი**	სავალდებულო			**30**				+
	არჩევითი საგნები				**35**				
1.	თეორია და მეთოდი საერთაშორისო ურთიერთობებში	არჩევითი	30/95	გ. ხელაშვილი	5	+			
2.	უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები	არჩევითი	30/95	დ. ჭოჭუა	5	+			
3.	ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა	არჩევითი	30/95	ს. კაპანაძე	5	+			
4.	პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში	არჩევითი	30/95	ა. რონდელი	5		+		
5.	ნაციონალიზმი და	არჩევითი	30/95	ზ.	5		+		

	საერთაშორისო ურთიერთობები			დავითაშვილი					
6.	ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ევროპეიზაცია	არჩევითი	30/95	ს.კაპანაძე	5		+		
7.	დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა	არჩევითი	30/95	დ. ჭოჭუა	5		+		
8.	საერთაშორისო ეკონომიკა	არჩევითი	30/95	ლ. ნატროშვილი	5		+		
9.	შედარებითი პოლიტიკა	არჩევითი	30/95	თ. გიუაშვილი	5		+		
10.	კონფლიქტების მოგვარების თეორია	არჩევითი	30/95	თ. გიუაშვილი	5		+		
11.	ამერიკის მთავრობა და დემოკრატიული მოქალაქეობა (American Government and Democratic Citizenship)	არჩევითი (ინგლისურ ენაზე)	30/95	ჯ. ლინდსი	5		+		
12.	კავკასიისა და ბალკანეთის პოლიტიკური პრობლემების შედარებითი ანალიზი	არჩევითი	30/95	დ. მაცაბერიძე	5		+		
13.	ევროპული ინტეგრაციის თეორიები	არჩევითი	30/95	ს. კაპანაძე				+	
14.	ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პრობლემები	არჩევითი	30/95	რ. გაჩეჩილაძე	5			+	
15.	კონფლიქტების მოგვარება, სამშვიდობო შეთანხმებები და ადამიანის უფლებები	არჩევითი	30/95	გ.ლორთქიფანიძე	5			+	
16.	საჯარო პოლიტიკის ანალიზი	არჩევითი	30/95	ნ. ტანგიაშვილი	5			+	
17.	სამხრეთ კავკასიის ტრანსფორმაცია	არჩევითი	30/95	ხ. სალუქვაძე	5			+	
18.	პოსტსაბჭოთა პოლიტიკა	არჩევითი	30/95	გ. ხელაშვილი	5			+	
19.	აშშ–ის საგარეო პოლიტიკა	არჩევითი	30/95	მ ქოჩორაძე	5			+	

20.	ქართული დიპლომატიის ისტორია	არჩევითი	30/95	ფ. ასანიშვილი	5			+	
	თავისუფალი კრედიტი*				10				
21.	სულ				**120**	**30**	**30**	**30**	**30**

* პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს რეკომენდაცია ეძლევათ 10 თავისუფალი კრედიტი შეარჩიონ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ რეკომენდებული საგნების ჩამონათვალიდან.

ლ) პროგრამის ხელმძღვანელები :

ალექსანდრე რონდელი: სოციალურ–პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი.
სერგი კაპანაძე: სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

მ. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ (გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა, ხარისხი), ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით - (თან ერთვის დანართის სახით);

ნ. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ დანართის სახით;

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება თსუ II და IV კორპუსის აუდიტორიები, ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა და ინვენტარი, აგრეთვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მატერიალური რესურსები.

ო. დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებულები ძირითადად დასაქმდებიან საჯარო სამსახურში, პირველ რიგში საგარეო საქმეთა სამინისტროში, დიპლომატიურ სამსახურში, საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში, საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის ადმინისტრაციაში, ევროატლანტიკურ ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში, სხვა სამინისტროებისა და სახელმწიფო დაწესებულებების საგარეო კავშირების დეპარტამენტებში, აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და კერძო სექტორში.